საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 7 22 00453132

21/02/2022

მოქალაქე მარიამ დარბაიძეს
ელექტრონული ფოსტის მისამართი:
foi+request-400-0a2dedf0@askgov.ge

ქალბატონო მარიამ,

2022 წლის №416869 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში სტატისტიკური მონაცემების დამუშავება წარმოებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების და არა სისხლის სამართლის დანაშაულის გარემოებათა ან სისხლის სამართლის საქმეში არსებული ნებისმიერი სტატუსის მქონე სუბიექტ(ებ)ის (პირები) მიხედვით.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა საქართველოს პროკურატურა, ხოლო ამავე კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია პირი ცნოს დაზარალებულად. შესაბამისად, პირებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით, მიზანშეწონილია მიმართოთ საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი
ქეთევან ტყეშელაშვილი

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge